

შპლვა კიკალიშვილი

ასისტენტ პროფესორი,

ჭუვეთის ახლო აღმოსავლეთის ამერიკული უნივერსიტეტი, ელ-ჭუვეთი

**ქართული სამხედრო შენაერთების მონაწილეობა ერაყის საერთა-
შორისო სამშვიდობო მისამი
(2003-2008)**

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მაღევე განაცხადა სურვილი მჭიდროდ დაკავშირებოდა ევროპულ რეალობას. ამის ერთ-ერთი მაგალითი 1992 წელს საქართველოს ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში გაერთიანება იყო. ეს პლატფორმა შემდგომში, 1997 წელს, გადაიზარდა ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ფორმატში.¹ ამავე პერიოდიდან ვთარდება ურთიერობა დღემდე ერთ-ერთ ყველაზე სანდო და მნიშვნელოვან პარტნიორთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თავად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წელის 25 დეკემბერს აღიარა.² ქვეყნებს შორის პარტნიორობა მას შემდეგ უწყვეტად ვთარდება.

2001 წელს მოკავშირეთა თანამშრომლობა აზალ ეტაპზე გადადის. ამ პერიოდიდან იწყება თავდაცვის მიმართულებით სხვადასხვა პროგრამის გაღრმავება, როდესაც საქართველო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეუერთდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდგომ.³ მიღწეული

¹ Relations With Georgia. North Atlantic Treaty organization. https://www.nato.int/cps/en/natoq/topics_38988.htm

² A Guide to the United States' History of Recognition, Diplomatic, and Consular Relations, by Country, since 1776: Georgia. Office of the Historian. <https://history.state.gov/countries/georgia#:~:text=The%20United%20States%20recognized%20Georgia's constituent%20republic%20from%20the%20USSR>.

³ თანამშრომლობა აშშ-სთან. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. <https://mod.gov.ge/page/119/tanamshromloba-ashsh-stan>

შეთანხმებების შედეგად ქართული სამხედრო შენაერთები ჩაერთნენ სამშვიდობო
მისიებში და დისლოცირდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ის როგორ ვთარება
რაც ქართველ სამხედროებს ომისშემდგომ ერაყში დაუხვდათ და გარკვეულ-
წილად აღვნესხოთ მრავალათასიანი ქართული სამხედრო მისიების წარგზავ-
ნის სხვადასხვა ასპექტი. შესაბამისად, ნაშრომი ორ ძირითად ნაწილად იქნე-
ბა წარმოდგენილი. პირველ ნაწილში განვიხილავთ ერაყის ომისშემდგომ ვი-
თარებას, აჯანყებების საწყისს, მაროდორობასა და ტერირისტულ აქტებს.
ასევე განხილულია მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური პირების ჩართუ-
ლობა მიმდინარე პროცესებში. მეორე ნაწილში კი შევეხებით ერაყში ქართუ-
ლი მისის დასაწყისას და მის განვითარებას და ამერიკის შეერთებული
შტატების როლს ქართველი სამხედროების წვრთნისა და აღჭურვის საქმეში.

2003 წლის 19 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო
შენაერთები შევიდნენ ერაყში. 21 დღის შემდეგ ამერიკულმა ნაწილებმა ფაქ-
ტობრივად სრული კონტროლი დაამყარეს ერაყზე. მიუხედავად ამისა, ეს აღ-
მოჩნდა კლასიკური მაგალითი, თუ როგორ შეიძლება „მოიგო ომი, მაგრამ
წააგო მშვიდობა.“ ერაყის ტერიტორიის დაკავების შემდეგ აშშ-ს ხელისუფ-
ლება წააწყდა უამრავ ახალ პრობლემას, რომელთა გადაჭრას დიდი რესურ-
სი და დრო დასჭირდა.

9 აპრილს აშშ-ს სამხედრო ძალები ბალდადში გამოჩნენ, რაც ფაქ-
ტობრივად ერაყის მხრიდან ორგანიზებული წინააღმდეგობის დასასრულს
ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, ეს არ აღმოჩნდა ერაყის კამპანიის ბოლო წერ-
ტილი. მართალია, სადამ ჰუსეინის დასამხობად წარმოებული კამპანია სამ-
ხედრო თვალსაზრისით ნამდვილად წარმატებული იყო, კოალიციურმა ჯა-
რებმა საკმაოდ დიდი ზომისა და მოსახლეობის მქონე ქვეყანა 21 დღეში და-
იკავეს, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა ერაყელებსაც და კოალიციურ ჯარსაც
უსაფრთხოების განცდა დაუკარგა. ამერიკელები ბევრად უფრო დიდი სირთუ-
ლეების წინაშე აღმოჩნდნენ მას შემდეგ, რაც დაამყარეს კონტროლი ერაყზე.

აჯანყებებთან გამკლავება იყო პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრა-
ციის ძირითადი დილექტი. რესპუბლიკური პარტიის საგარეო პოლიტიკის მე-
თაურს აღარ სურდა სისუსტის გამოვლენა.⁴ როგორც ცენტრალური სადაზ-
ვერვო სამმართველოს დირექტორის მოადგილემ ჯონ მაკლაფლიმ განაცხადა,

⁴ B. Woodward. State of Denial: Bush at War Part III. New York: Simon and Schuster, 2006, e-Book. გვ. 474

ერაყის აჯანყება ოთხი ძირითადი ფრაქციის მიერ იყო ორგანიზებული: ყოფილი ბასისტების, ყოფილი მებრძოლების, ერაყის ნაციონალისტებისა და ტომების მიერ.⁵ ირანსაც დიდი გავლენა ჰქონდა ერაყში. ირანის რევოლუციურ რაზმს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა გზებზე ბომბების განლაგებაში, რამაც მრავალი ამერიკელის სიცოცხლე იმსხვერპლა.⁶ 2010 წლის იანვარში პრემიერმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ პოსტსადამური ერაყის ერთ-ერთი ასპექტი, რაც არავის მოსვლია აზრად, იყო ის, რომ ირანი მხარს დაუჭერდა აღკაიდას. ამ შემთხვევაში ფიქრობდნენ, რომ ეს ორი „სამყარო“ ერთმანეთს არასდროს შეერეოდა. რაც გაუთვალისწინებლად მოხდა, იყო ის, რომ ორივე საერთო ინტერესი გამოუჩნდა – ერაყის დესტაბილიზაცია.⁷

ამ აღნიშვნის კიდევ ერთი ლერძი ჰქონდა. ჯორჯ ბუშ უმცროსის ადმინისტრაციაში თავდაცვის მინისტრის მოადგილე დაგლას ფეისი აღნიშნავს, რომ ბუშის ადმინისტრაცია ელოდა შურისძიებებს, მაროდიორობას, ტერორისტულ თავდასხმებს, ერაყში ძალადობის აღზევებას მეზობელი ქვეყნების მიერ, მაგრამ არავინ ელოდა მდგრად ამბოხებას, რომელსაც დამხობილი ბაასისტები უხელმძღვანელებდნენ უცხოელ ჯიპადისტებთან ერთად.⁸ როდესაც ერაყი დაეცა, ბაასისტებმა გადაწყვიტეს, რომ ისლამი იყო ყველაზე კარგი საშუალება ამბოხების გასაძლიერებლად და გასაგრძელებლად. ამიტომ რადიკალმა ჯიპადისტებმა და ყოფილი რეჟიმის წევრებმა საერთო ენა გამონახეს.⁹ ფეისი დამატებით აღნიშნავს, რომ ამერიკას არ გაახსენდა 1996 წლის ისამა ბენ ლადენის ფატვა,¹⁰ სადაც იგი ომს უცხადებდა ამერიკას არაბეთის ნახევარკუნძულზე სამხედროების განთავსების გამო და ამას სამხედრო ოპერაციას უწოდებდა. ამის შესახებ აქცენტი არც პენტაგონს გაუკეთებია და არც ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს მოუხდენია მისი ხაზგასმა.¹¹ ფეისი ირწმუნება, რომ ასეთი სახის ამბოხებას არც დაზვერვის ოფიცირები და არც პოლი-

⁵ B. Woodward. State of Denial: Bush at War Part III. p.261-562

⁶ T. Blair. Rt Hon Tony Blair transcript. The Iraq Inquiry. 2010. <http://www iraqinquiry.org.uk/media/45139/20100129-blair-final.pdf>

⁷ T. Blair. Rt Hon Tony Blair transcript. The Iraq Inquiry.

⁸ D. Feith. War and Decision: Inside the Pentagon at the Dawn of the War on Terrorism. New York: Harper Collins Publishers, 2008, e-Book. გვ. 415

⁹ M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. London: Atlantic Books, 2007, e-Book. გვ. 586

¹⁰ O. Bin Laden Fatwa Nr. 1. 1996. https://is.muni.cz/el/1423/jaro2010/MVZ203/OBL_AO_Fatwa_1996.pdf

¹¹ D. Feith. War and Decision: Inside the Pentagon at the Dawn of the War on Terrorism. გვ. 407

ტიკის აღმსრულებლები არ ელოდნენ. ბაასისტებმა, ჯიპადისტებთან თანამრომ-
ლობით, შეძლეს ზიანის მომტანი სამხედრო კამპანიის გაჩაღება ერაყში.¹²

ერაყის რეკონსტრუქცია საგრძნობლად დააზარალა დაწყებულმა აფეთ-
ქებების სერიამ. თავდაპირველად ბალდადში იორდანის საელჩო ააფეთქეს
2003 წლის 7 აგვისტოს. 19 აგვისტოს გაერთიანებული ერების ცენტრალუ-
რი ოფისის აფეთქებას გაეროს სპეციალური წარმოამდგენელი სერუი ვიე-
რა და მელო და გაეროს თანამშრომლები ემსხვერპლნენ.¹³ აიათოლა მოპარედ
ბაქირ ალ ჰაკიმისა და მისი მიმღევრების მცირე ჯგუფის მკვლელობამ 29
აგვისტოს ასევე დიდი გავლენა იქონია. ეს აფეთქებები მოასწავებდნენ ამბო-
ხებების დაწყებას.¹⁴

ამბოხების, რომლის საწყის ეტაპში თავად ჰუსეინიც მონაწილეობდა,
მეთაურებმა შექმნეს ოთხნაწილიანი გეგმა. მათი მიზანი იყო, პირველ რიგში,
განედევნათ ოკუპანტები, დაესუსტებინათ ერაყის ინსტიტუტები, შეექმნათ ერ-
აყდლებში უქმარისობის გრძნობა ახალი ხელისუფლების მიმართ და შეენარ-
ჩუნებინათ სუნიტების გავლენა.¹⁵

2003 წლის აპრილში აღმოაჩინეს ერაყის სადაზვერვო სააგენტოს –
მუხაბარატის ბრძანება. იგი შეიცავდა სამიქმედო გეგმას ბაასის მთავრობის,
სადამის ფიდაინებისა და დაზვერვის წევრებისათვის სადამის რეჟიმის დამხო-
ბის შემთხვევაში. ბრძანება შეიცავდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან თა-
ნამშრომლობაში მყოფთა დახოცის, სამინისტროების დაწვის, მაროდიორობი-
სა და დოკუმენტთა განადგურების მითითებას. ყველაფერი უნდა ექნათ ერაყ-
ში ქასის გასაღივებლად. ბრძანება ბაასის პარტიის ყველა წევრს ურჩევდა
ჯოჯოხეთის მოწყობას ერაყში სადამის დამხობის შემთხვევაში.¹⁶ 2003
წლის 23 იანვრით დათარიღებულ ბრძანებაში კი მითითება კეთდებოდა ოფ-
იცრებისადმი, რა უნდა ექნათ, თუ ერაყს დაიცყრობდნენ. საბოტაჟისა და მა-
როდიორობის გარდა ელექტროსადგურები უნდა გაეწადგურებინათ და შიიტთა
წმინდა ადგილებში შეეღწიათ.¹⁷ მართალია, ჩვენს ხელო არსებულ არც ერთ
წყაროში ამაზე საუბარი არ არის, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ამ
ბრძანების აღმოჩენამ გამოიწვია დებაასიფიკაციის მასშტაბების ზრდა.

¹² D. Feith. War and Decision: Inside the Pentagon at the Dawn of the War on Terrorism. გვ. 275

¹³ P. Symonds. The UN bombing: a product of the US occupation of Iraq. 20 August. 2003.
<http://www.wsws.org/en/articles/2003/08/iraq-a20.html>

¹⁴ D. Feith. War and Decision: Inside the Pentagon at the Dawn of the War on Terrorism. გვ. 449

¹⁵ M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. გვ. 584

¹⁶ B. Woodward. State of Denial: Bush at War Part III. გვ. 184

¹⁷ B. Woodward. State of Denial: Bush at War Part III. გვ. 184

2003 წლის ივლისისთვის კოალიციური დროებითი მთავრობის მეთაური პოლ ბრემერი გადაზიანებას ვერ მაღავდა პენტაგონის გულგრილობის გამო, რასაც იგი მიმდინარე ამბოხებების მიმართ იჩინდა. ბრემერი ფიქრობდა, რომ სამხედროები, რომლებიც თავდაცვის მდივანმა დონალდ რამსფელდმა დანიშნა, ცდილობდნენ აშშ-ს ჯარების გაყვანას ერაყიდან.¹⁸ ბრემერი თვლიდა, რომ აშშ-ს სამხედროებს „უჭირდათ მტერთან საბრძოლველად სათანადო ეფექტური საშუალებების მოძებნა.“¹⁹

2004 წლის 31 მარტს, როდესაც ამბოხება მოძლიერებული იყო და ფალუჯას კრიზისიც იწყებოდა, პრეზიდენტმა ჯორჯ უოკერ ბუშმა გააკეთა განცხადება. მან აღნიშნა: „ჩვენ კვლავ ვებრძვით ავაზაკებსა და ტერორისტებს ერაყში, რომლებიც უდანაშაულოთა მკვლელობებზე უფრო წავლენ, ვიდრე თავისუფლების უპირატესობას აღიარებენ.“ მან ასევე დაამატა, რომ ამერიკელებმა გადაწყვიტეს, აღდგომოდნენ ამ პრობლემას. „მკვლელების ეს ნაკრები ვერ აღუდგება წინ ჩვენ სურვილს. ამერიკა არასდროს იქნება შეშინებული ავაზაკებისა და მკვლელების მიერ. ჩვენ აგრესიულად დავარწყამო ტერორიზმს ერაყში.“²⁰ ამერიკის ტაქტიკა ამბოხების ჩასახშობად წარმატებული იყო დროის მცირე მასშტაბში, თუმცა მას მრავალი ხარვეზი ჰქონდა სტრატეგიის მხრივ.

ვიცე-პოლკოვნიკ სტივენ პეტერსონის აზრით, საპაერო და სახმელეთო კამპანია, რასაც შოკი და შიში უნდა მოეტანა ბალდადის რეჟიმის დამხობასთან ერთად, დამლუპველი იქნებოდა ერაყის აღდგენითი პროცესისა და წესრიგის შენარჩუნ-ებისათვის. მისი აზრით, აღდგენითი პროცესისათვის სხვა სახის მართვისა და კონტროლის დამყარება იქნებოდა საჭირო. სამხედრო და საპოლიციო ძალები კვლავ საქმეში უნდა ჩაბმულიყო. მისივე თქმით, სამხედროად ყოველი ძალისხმეულა აღიქმებოდა, როგორც ომის შემდგომი ერაყისათვის გათვალისწინებული სტრატეგიის ნაწილი.²¹

ბუშის ადმინისტრაცია აღბათ არც ეღოდა, ბალდადი ასე მალე თუ დაეცემოდა. მხოლოდ სამი კვირა და მცირე სამხედრო ძალისხმეულა დასჭირდა სადამ პუსენის რეჟიმის დამხობას. ბუშის ადმინისტრაციის აზრით, უფრო გრძელვადიანი ომი გამოიწვევდა გაცილებით მეტ დანაკარგებს ბრძოლის ველზე.

¹⁸ P. Bremer, M. McConnell. My Year in Iraq: The Struggle to Build a Future of Hope. New York: Simon & Schuster, 2006, e-Book. ვ. 106

¹⁹ P. Bremer, M. McConnell. My Year in Iraq: The Struggle to Build a Future of Hope. ვ. 220

²⁰ B. Woodward. State of Denial: Bush at War Part III. ვ. 297

²¹ M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. ვ. 168

იგივე ლოგიკით, დანაკარგების თავიდან ასაცილებლად, სადამის ჩამოგდების შემდეგ ერაყში ამერიკელი სამხედროების არასაკმარისი რაოდენობა იქნა გაგზავნილი,²² ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ქაოსს და აჯანყების წამოწყებას. ცენტრალური სარდლობის მეთარუმა, გენერალმა ჭომი ფრენგსმა ეს აღრევე გაითვალისწინა და ამას „კატასტროფული წარმატება“ უწოდა.²³

აჯანყებების ერთ-ერთი მთავარი ძაპროვოცირებელი მიზეზი გახდა მაროდიორობა. საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება უმთავრესი ფაქტორი იყო ერაყში სტაბილურობის შესაქმნელად და ერაყელთა მხრიდან განმათავისუფლებლებისადმი ნდობის დასამყარებლად. გენერალ ჯეი გარნერის მიერ თეორ სახლში შეტანილი წინადადება ერაყში საპოლიციო მრჩეველების წარგზავნის შესახებ, რათა წესრიგი და კანონი აღედგინათ, მალევე უარყვას.²⁴ პრემიერი ჭონი ბლერის განცხადებით, არსებობდა მოლოდინი, რომ კოალიციური ძალები ჩავიდოდნენ სამოქალაქო სერვისით სრულად გამართულ ერაყში და ერაყის პოლიცია საშინაო უსაფრთხოებას თავის თავზე აიღებდა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, რადგან პოლიციაში მრავლად იყვნენ ბაასის პარტიის წარმომადგენლები. ბაასისტები არ გამოცხადდნენ სამსახურში, ხოლო სხვა თანამშრომლები, სასჯელის თავიდან არიდების მიზნით, არ დაბრუნდნენ უკან. დამატებით, კორუფციის გამო ერაყის პოლიციას სუსტი რეპუტაცია და იმიჯი ჰქონდა.²⁵ 2003 წლის 10 მარტს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე ეროვნული უსაფრთხოების თავდაცვის შტაბის დირექტორმა ფრენკ მილერმა განცხადა, რომ კონფლიქტის შემდგომ სტაბილურობის შესანარჩუნებლად კანონის უზრავესობის წარმატებით დამყარება კრიტიკული იქნებოდა. ეს კი რეკონსტრუქციისა და აღდგენის სამუშაოებს გაამარტივებდა.²⁶

ცენტრალური მმართველობის წარმომადგენლებს მიეცათ ინსტრუქცია, არ მოეხდინათ „ომისშემდგომ მოვლენებზე რეაგირება“, უმთავრესად იმ მოტივით, რომ სათანადო რაოდენობის სამხედრო პერსონალი არ ჰყავდათ.²⁷

²² P. Galbraith. Unintended Consequences: How War in Iraq Strengthened America's Enemies. New York: Simon and Schuster, 2008, e-Book. გვ. 50

²³ T. Franks, M. McConnell. American Soldier. New York: HarperCollins, 2004, e-Book. გვ. 392

²⁴ M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. გვ. 180

²⁵ T. Blair. A Journey: My Political Life. Chapter 15 Iraq: The Aftermath. New York: Vintage Books, 2010, e-Book.

²⁶ B. Woodward. Plan of Attack. New York: Simon & Schuster, 2004, e-Book. გვ. 39

²⁷ G. Packer. The Assassins' Gate: America in Iraq. New York: Farrar, Straus and Giroux, 2005, e-Book. p.123

დონალდ რამსფელდმა ამავე პერიოდში ჩამოაყალიბა საკუთარი მიღ-
გომა, რამელიც რამსფელდის დოქტრინის სახელით გახდა ცნობილი. რამ-
სფელდის დოქტრინის უმთავრესი პრინციპი იყო ჯარის გარდაქმნა კარგად
დაფინანსებულ, მაღალტექნიკოლოგიურ ძალად, რამელიც მინიმალური დანა-
კარგებით გამანადგურებლად იმოქმედდებდა ნებისმიერ წერტილში.²⁸

მორიგი პრობლემა, რაც ამერიკამ ერთგვარად ხელოვნურად შექმნა,
ერაყის არ-მიის დაშლა იყო. შექრამდე რამდენიმე ხნით ადრე უილიამ ლუ-
ტის სპეციალური დაგეგმვის სამსახურმა 2003 წლის 21 იანვარს წარმოად-
გინა გეგმა, რომელიც ოთვა-ლისტინგებდა შესაძლო რეფორმებს ან ახალი არ-
მიის ჩამოყალიბებას. გარნერმა, თავის მხრივ, სხვა გეგმა წარმოადგინა. ამან
განახლვრა ერაყის არმიის როლი რეკონს-ტრუქციის პროცესში. იგი მოექ-
ცეოდა სამოქალაქო კონტროლის ქვეშ.²⁹ ომის დაწყებისას სახმელეთო შე-
მადგენლობის მეთაურ გენერალ დევის მაკირმანს სჯეროდა, რომ ომის შემ-
დგომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ერაყის არმიის გამოყენება შეიძლე-
ბოდა. გარნერს კი სურდა ამ სამხედროების იაფ მუშახელად გა-მოყენება, სა-
ნამ მათ ახალი ერაყული არმიისთვის გადამზადებდნენ. ამას კი იგი საჭი-
როდ თვლიდა საკუთარი პერსონალის სიმცირის გამო.³⁰ გარნერმა მოახსნა
უფროსობას, პრეზიდენტის ჩათვლით, ერაყის არმიის შენარჩუნების შესახებ.
მისი წინადაღება დაამტკიცეს ხელფასების დანიშვნასთან ერთად.³¹ ეროვნუ-
ლი უსაფრთხოების საბჭოს კრებაზე 2003 წლის 12 მარტს თავდაცვის მი-
ნისტრის მოადგილემ დაგლას ფეისმა განაცხადა, რომ ერაყის რეგულარული
არმიის დაშლაზე თავი უნდა შეეკავებინათ. მისი აზრით, არმიის 3-5 დღიზი-
ოს გამოყენება შეიძლებოდა ახალი ერაყული არმიის ბირთვად. ფეისმა გეგმა
იყო, „უცებ არ მოეხდინათ დემობილიზაცია და ხალხი ქუჩაში არ გაეყარათ,
არამედ ისინი გამოეყენებინათ აღმშენებელ ძალად„³² ფრენკ მილერის აზ-

²⁸ B. Graham. Chapter 14. By His Own Rules: The Ambitions, Successes and Ultimate Failures of Donald Rumsfeld. New York: Public Affairs, 2009, e-Book. B. Buley. Chapter 4. The New American Way of War: Military Culture and the Political Utility of Force. London: Routledge, 2008, e-Book. A. J. Bacevich. Chapter 6. The New American Militarism: How Americans are Seduced by War. Oxford University Press, 2005, e-Book. J. Kitfield. Chapter 2. Chapter 3. War and Destiny: How the Bush Revolution in Foreign and Military Affairs Redefined American Power. Washington, D.C.: Potomac Books, 2005, e-Book. D. R Herspring. Chapter 2. Rumsfeld's Wars: The Arrogance of Power. Kansas University Press, 2008, e-Book.

²⁹ D. Feith. War and Decision: Inside the Pentagon at the Dawn of the War on Terrorism. ვ. 367

³⁰ M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. ვ. 236

³¹ G. Packer. The Assassins' Gate: America in Iraq. e-Book. ვ. 133

³² B. Woodward. Plan of Attack. Cahpter 31. e-Book.

რით, ერაყის არმიის შემცირება შეიძლებოდა, თუმცა მისი გამოყენებაც უნდა
მომხდარიყო კონკრეტული სარეკონსტრუქციო პროექტებისათვის.³³

აჯანყება არ იყო გარდაუგალი. იგი გაამწვავა სამხედრო და პოლი-
ტიკურმა შეც-დომებმა. აშშ-მ ვერ შეძლო ომის შემდგომი იპერაციებისათვის
მომზადება, მას შემ-დეგ, რაც გადაწყვიტა ომი მინიმალური სამხედრო ძალე-
ბით დაწყო. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ძალებისა და დამხმარე შენაერ-
თების განთავსების უარყოფით, ერაყის არმიის დამლითა და ათასობით შეი-
არაღებული ადამიანის ქუჩაში გაშვებით, ად-გილობრივი არჩევნების ჩაუტარ-
ებლობით დიდი ზიანი მიადგა ომისშემდგომ სტაბი-ლიზაციას.

არმიის დაშლისა და დროებითი მთავრობის დამყარების პარალელუ-
რად მიმ-დინარებდა ერაყის სახელმწიფო უწყებების გაწმენდა ბასისტური
ელემენტებისაგან. გარდამავალი პერიოდისათვის წარმომადგენლობითი და რა-
იმე მნიშვნელობის მქონე მთავრობის შესაქმნელად, ბრემერმა დაიწყო „ბასის
მთავრობის მოშორების გა-დაჭარბებულ“, მნიშვნელობაზე გადაკვრით საუბარი.
ეს იყო აშშ-ს სტრატეგიაში ცვლილების ერთგვარად ფარული აღიარება. სა-
ფურადღებო ფაქტორია ახალ მთავრობაში დიდი რაოდენობის სუნიტების თა-
ნამონაწილეობაც.³⁴ კოალიციის დროებითი მთავრობის ბრძანებები ერაყის ხე-
ლისუფლების დებაასიფიკაციასა და არმიის დაშლაზე იყო ძირითადი შემაგუ-
ლიანებელი და წამაქეზებელი ფაქტორი აჯანყებებისათვის.³⁵

2003 წლის 4 ნოემბერს ბრემერმა შეადგინა „კოალიციური დროები-
თი მთავრობის მემორანდუმი ნომერი 7“, და მმართველ საბჭოს მიანიჭა უფ-
ლება, მოქალაქეთა ერაყის საზოგადოების გაწმენდა ბასისტებისაგან კოალიცი-
ური დროებითი მთავრობის ნომერ პირველი ბრძანების შესაბამისად. ეს პრო-
ცესი განხორციელდა უმაღლესი ეროვნული დებაასიფიკაციის კომისიის მიერ,
რომელსაც აპტერ ჩაღაბი მეთაურობდა. ბრემერი წერს, რომ მან ერაყელთა მოთ-
ხოვნას მეტი ძალაუფლების შესახებ პროცესის მსვლელობისას ეტაპობრივად
უპასუხა. საბოლოოდ, ბასისტებისაგან ერაყის გაწმენდა ერაყელ პოლიტიკო-
სებს დაევალათ, რაც, ბრემერის აზრით, შეცდომა იყო.³⁶ ჩვენი აზრით, ბრემე-
რი ამ შემთხვევაში სწორია, რადგანაც ერაყელების საქმისადმი მიღვიმად და

³³ G. Packer. The Assassins' Gate: America in Iraq. e-Book. გვ. 129

³⁴ A. Allawi. The Occupation of Iraq: Winning the War, Losing the Peace. Yale University Press,
2007, e-Book p.283

³⁵ A. Allawi. The Occupation of Iraq: Winning the War, Losing the Peace. p.283

³⁶ P. Bremer. J. Dobbins. D. Compert. Early Days in Iraq Decision of The CPA. Survival Vol. 50,
No. 4. 2008. გვ. 21-56 <http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/00396330802328925>

კლანურ-ნათესაური ურთიერთობებმა ამ პროცესზე უარყოფითი გავლენა ნამდვილად მოახდინა. დებაასიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ამერიკა აირიღებდა იმ პრობლემებს, რაც ერაყში შეიქმნა.

ზემოხსენებული მიზეზების გარდა გარდა, ერაყში კრიზისის აღზევებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თურქეთმა, რომელმაც არ მისცა უფლება აშშ-ს ძალებს ერაყის ჩრდილოეთში გადაადგილებულიყვნენ, რის გამოც რეგიონში ამერიკული ძალების რაოდენობა ვერ გაიზარდა.³⁷

ერაყის ოკუპაციის საწყისი პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა. ამერიკელების მიერ ამ დროს დაშვებულ შეცდომებს გრძელვადიანი ეფექტი აღმოჩნდა. ბუნებრივია, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება უცხო ქვეყნის ძალებისადმი პრაქტიკულად ყოველთვის უარყოფითა, ხოლო როდესაც საოკუპაციო ნაწილები ვერ ახერხებენ ქვეყნაში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას და აგვანებენ სამოქალაქო ხელისუფლების გადაცემას, ეს კიდევ უფრო ზრდის უქმაყოფილებას. ხშირად ეს იწვევს არა მარტო სიტუაციის გამწვავებას, არამედ ახალი გარეშე მოთამაშების გამოჩენასაც. სწორედ ასე მოხდა ერაყში და გარკვეულწილად ირონიული გამოდგა ის ფაქტი, რომ დღე როდესაც ამერიკამ მოიგო ომი ერაყთან, ასევე იქცა დღედ, როდესაც მან იგი დაკარგა.

პრემიერი ტონი ბლერი ასკვნის, რომ ერაყში ვითარების გართულების კიდევ ერთი მიზეზი იყო ირანისა და ალ-კაიდას ერთობლივი ხელის შემშლელი როლი.³⁸ საზღაური, რაც ამერიკამ და მისმა საგარეო პოლიტიკამ გადაიხადა, იყო შესამჩნევი. ნაცვლად იმისა, რომ მბლავრი მესივზი გაეგზავნათ ირანისა და ჩრდილო კორეისათვის, ამერიკა ერაყში მიმდინარე როლ პროცესებში აღმოჩნდა ჩართული. არ გაამართლა იმედმაც, რომ ერაყი გახდებოდა ერთგვარი „დემოკრატიის ლოკომოტივი“ ახლო აღმოსავლეთში. ეს ისედაც როლი მისაღწევი იქნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, დემოკრატიაზე გადასვლის სიცოცხლისუნარიანობის ჩვენების ნაცვლად, ეს პროცესი ძალიან როლად წარმოჩნდა, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები მარტო აღმოჩნდნენ და სხვა ერების ჩართვაც ვერ უზრუნველყვეს.³⁹ სეინტურ კლიტას დემოკრატია არ მოიწონდა, რადგან ეს შიოტურ უმრავლესო-

³⁷ K. von Hippel. State-Building After Saddam: Lessons Lost. In: The Future of Kurdistan in Iraq. Ed. Brendan O'Leary, John McGarry and Khaled Salih. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2005, e-Book. გვ. 255

³⁸ T. Blair. A Journey: My Political Life. Chapter 15 Iraq: The Aftermath.

³⁹ M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. გვ. 582

ბას გაუხსნიდა გზას ქვეყნის მმართველობაში. ამან გააღრმავა მათი ცუდი განწყობილება გარეშე ძალების მიმართ. მათ სადამის ჩანაცვლება რომელიმე სუნიტი გენერალით უფრო მოეწონებოდათ.⁴⁰ შესაბამისად, სუნიტებმა არ მოისურვეს ახალი მმართველი ძალის ნაწილი გამხდარიყვნენ.

ნათლად ჩანდა ასევე ირანის მიერ ერაყის საქმეებში ჩარევაც. ირანის მიზანი იყო, შეეჩერებინა ძლიერი და ერთიანი ერაყის განვითარება. განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ სუნიტურ ერაყს რვაწლიანი სისხლისძლვრელი ომი ჰქონდა ირანთან გადატანილი. ირანს ასევე სურდა რეჟიმის ცვლილება ძვირ და სისხლიან საქმედ ექცია აშშ-ს ხელმძღვანელობისათვის, რათა მომავალში ირანისათვის აერიდებინათ თავიდან აშშ-ს მსგავსი ჩარევა.⁴¹ ტონი ბლერის აზრით, კოალიციამ დაასკვნა, რომ ირანი უბრალოდ დააკვირდებოდა პროცესს და მას „არ აინტერესებდა ერაყის დესტაბიზაცია“. ესეც მცდარი პროგნოზი გამოჩნდა, ვინაიდან, როგორც აღმოჩნდა, ირანს არ სურდა შიიტური უმრავლესობით შემდგარი დემოკრატია თავის სამეზობლოში.⁴²

მრავალი მიზეზი დასახელდა ერაყში წარუმატებლობის გამოწვევად. უნდობლობა ერაყის ოპოზიციის მიმართ და ერაყის არმიის დაშლა, იმის გათვალისწინებით, რომ შტატებს რამსფელდის დოქტრინის შესაბამისად სამხედროთა მცირე კონტინგენტი ჰყავდა მობილიზებული, ერაყში დაწყებული აჯანყებების აშკარად ხელისშეწყობი ფაქტორია. გასაგებია, რომ რამსფელდის სურდა თავისი რევოლუციური მიღვომის მაქსიმალურად გამოყნება და მცირე სამხედრო ძალის ჩაბმა ომის პროცესში, მაგრამ გაუგებარია, რატომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ომის შემდგომ ერაყის კონტროლისთვის არ გამოეყოთ დამატებითი ძალები, როგორც არაერთი გენერალი მოითხოვდა ამას. ფაქტი ფაქტად რჩება – ომის შემდეგ შექმნილმა დოობითმა მთავ-რობამ დაკარგა ქვეყანაზე კონტროლი, რამაც საბოლოოდ აჯანყებების წინაშე დააყენა ამერიკელი და კოალიციური სამხედრო ძალები.

ის ძალადობა, რაც ერაყში აღმოცენდა იყო ნაწილობრივ უცხოური ძალის უარ-ყოფისკენ მიმართული. მაგრამ ძირითადად იგი გამოწვეული იყო ახალი სახელმწიფო სისტემის გაურკვევლობით. სუნიტებს აღარ ეპყოთ მართვის სადავეები და აჯანყებების ბირთვიც სწორედ სუნიტებისაგან შეიკრა. მე-

⁴⁰ D. Feith. War and Decision: Inside the Pentagon at the Dawn of the War on Terrorism. გვ. 372

⁴¹ M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. გვ. 592

⁴² T. Blair. A Journey: My Political Life. Chapter 15 Iraq: The Aftermath.

ტიც, ბუშის რიტორიკის სასურველი შედეგი კი უნდა ყოფილიყო დემოკრატიისა და მშვიდობის ხელის შეწყობა ახლო აღმოსავლეთში მაგრამ ამას ნაკლები ჰქონდა საერთო ერაყელებთან.

აჯანყების საწინააღმდეგო მოქმედებები ერთი დიდი ნაკლიო გამოიჩეოდა, რაც აშშ-ს სამხედროებს გამორჩათ. თუ მოსახლეობას არ უზრუნველყოფ მშვიდობით და უსაფრთხოებით, არ აქვს მნიშვნელობა გარეშე სამხედროთა რიცხვის შემცირებას. თუ სადაცები ადგილობრივ მოავრობას აქვს, რომელსაც არ შესწევს ძალა ადეკვატური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დიდია შანსი სიტუაცია კოლაფსის დონეზე გაუარესდეს.

მსგავს ვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანი გახლდათ სამშვიდობო მისიების საქმიანობა კრიზისით მოცულ ერაყში. ზოგადად კოალიციური ჯარების გარეშე ამერიკის შეერთებულ შტატებს ფაქტობრივად ხელიდან გამოეცლებოდათ მოპოვებული სამხედრო გამარჯვება. სწორედ ზემოთ აღწერილი ვითარება დაუხვდათ ქართველ სამხედროებს, რიცდესაც ერაყში ჩავიდნენ.

სანამ ქართული სამხედრო უნიფორმა ერაყში გამოჩნდებოდა 2003 წელს, ჯარმა მნიშვნელოვანი დახმარება მიიღო ამერიკისაგან. 2002 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ონიციატივით დაიწყო საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (Georgia Train and Equip Program), რომელიც დახმარებას უწევდა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებს პანკისის ხეობის მთიან საზღვრისპირა რეგიონში, მეაბბოზებისგან მომდინარე შიდა ტერორისტული საფრთხეების მოგერიებაში.⁴³ ეს ერთი მხრივ აუცილებლობასაც წარმოადგენდა, რადგან სხვადასხვა სახის დაუდასტურებელი ინფორმაციის საფუძველზე გაჩნდა ეჭვი, რომ ავღანეთში თალიბანის დამხობის შემდეგ პანკისის ხეობას ალ-კაიდას ლიდერები აფარებდნენ თავს.⁴⁴ საერთო ჯამში 2002-2004 წლებში აშშ-მ 64 მილიონი დოლარი და 200 მრჩეველი გამოყო ქართველი სამხედროების გადასამზადებლად წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარლებში.⁴⁵

⁴³ თანამშრომლობა აშშ-სთან. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. <https://mod.gov.ge/ge-page/119/tanamshromloba-ashsh-stan>

⁴⁴ A. McGregor. Ricin Fever: Abu Musab al-Zarqawi in the Pankisi Gorge. Publication: Terrorism Monitor Volume: 2 Issue: 24. The Jamestown Foundation. May 5, 2005 <https://jamestown.org/program/ricin-fever-abu-musab-al-zarqawi-in-the-pankisi-gorge/>

⁴⁵ Civil.ge. U.S. Announces New Military Assistance Program for Georgia. November 5, 2004. <https://old.civil.ge/eng/article.php?id=8271> S. C Tucker, P. Marry Roberts, P. G Pierpaoli, Jr, Colonel J. D Morelock, Major General D. Zabecki, Sh. Zuhur. Georgia, Role in Iraq War. The United States in Persian Gulf, Afghanistan, and Iraq Conflicts. The Encyclopedia of Middle East Wars. ABC-CLIO, Santa Barbara, California Denver, Colorado Oxford, England. 2010, ვ.3. 481

2002 წლის 11 სექტემბრის მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა ედუ-
არდ შევარდნაძემ თქვა, რომ ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს თანადგომის
წერილი გაუგზავნა გასულ წელს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მომხდარ ტე-
რორისტულ აქტებთან დაკავშირებით. „წერილში დიდი მწუხარება გამოვთქვი
ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით. საქართველო მხარის უჭერს აშშ-ის ანტიტე-
რორისტულ კამპანიას. ტერორიზმი მთელს მსოფლიოში უნდა აღმოიფ-
ხვრას,“ განაცხადა პრეზიდენტმა შევარდნაძემ.⁴⁶

2003 წელს საქართველომ ოფიციალურად დაუჭირა მხარი აშშ-ს და-
გეგმილ კამპანიას ერაყის წინააღმდეგ. პრეზიდენტმა შევარდნაძემ კვლავ მის-
წერა თავის ამერიკელ კოლეგას სადაც აღნიშნა, რომ „მასობრივი განადგუ-
რების არაღის მწარმოებელი რეჟიმი უნდა დაისაჯოს.“⁴⁷

2003 წლის 16 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „საქარ-
თველოსა და ქუვეთის სახელმწიფოს შორის საქართველოს სამხედრო და სა-
მოქალაქო პერსონალის სტატუსის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირება.⁴⁸
ეს კანონიერი საფუძველი გახდათ ერაყში სამშვიდობო მისიაში მონაწილე-
ობისთვის ქართველი სამხედროების გასაგზავნად. ქუვეთს სატრანზიტო რო-
ლი უნდა შეესრულებინა.

2003 წლის 3 აგვისტოდან მოყოლებული დაიწყო ქართული სამხედრო
ძალების დისლოცირება ერაყში. პირველი ტალღა ქალაქ ტიკრიტში დაბანაკ-
და. საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ერაყში მრავა-
ლეროვნულ კოალიციურ ძალებს (Multi-national forces – Iraq) შეუერთდა.⁴⁹
პირველი ქართული 70 კაცინი კონტინგენტის შემადგენლობაში შედიოდნენ
სამხედრო ექიმები და სპეციალური ძალების წარმომადგენლები. სპეციალური
ძალები დაბანაკინენ ქალაქ ბაიჯიში, ბალდადიდან 200 კილომეტრში. მედპერ-
სონალი კი დისლოცირდა შიიტების ქალაქ ბალადში.⁵⁰

⁴⁶ Civil.ge. პრეზიდენტმა შევარდნაძემ პრეზიდენტ ბუშს თანაგრნობის წერილი გაუგზავნა. 11 სექტემბერი, 2002. <https://civil.ge/ka/archives/128321>

⁴⁷ Civil.ge. Timeline – 2003. December 31, 2003 <https://old.civil.ge/eng/article.php?id=5924>

⁴⁸ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს პარლამენტის დადგენილება. 16 ივნი-
სი, 2003. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/46570?publication=0>

⁴⁹ J. Bolton R. Report on the Multinational Force in Iraq. US Department of State. Archive. June 15. 2006. <https://2001-2009.state.gov/p/io/rm/68102.htm>

⁵⁰ S. A Carney. Allied Participation in Operation Iraqi Freedom. Appendix—Force Contributions by Nations. Center of Military History United States Army, Washington, D.C., 2011, e-Book. გვ. 62 https://history.army.mil/html/books/059/59-3-1/CMH_59-3-1.pdf

ამავე პერიოდში საქართველოს მთავრობის მაღალჩინოსწები სტუმრობენ დისლოცირებულ ქართველ სამხედროებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ვიზიტები არც თუ მშვიდ კოორიექტი მიმდინარეობდა. 2004 წელს მაშინდელი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე იმყოფებოდა ერაყში. ერაყიდან თბილისში დაბრუნებისას უურნალისტებს განუცხადა, რომ თვითმფრინავს, რომელშიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ისხდნენ, ბალდადის აეროპორტის დატოვებისთანავე ცეცხლი გაუცხსნეს. „მე მოგვიანებით მითხრეს ამ ინციდენტის თაობაზე, რადგანაც მეძინა,“ – განუცხადა თევზაძემ უურნალისტებს დღეს დილით თბილისში ჩამოსვლისას. მისი თქმით, ამერიკელმა ჯარისკაცებმა თავდასხმას მაშინვე საპასუხო ცეცხლით უპასუხეს.⁵¹

მაღვევე ქართველთა რაოდენობა ერაყში გაიზარდა. 7 აპრილს საჩხერის მე-16 სამთო ბატალიონის 159 სამხედრო გაემზაგვრა ერაყში. გეგმის მიხედვით ისინი ექვსი თვე დარჩებოდნენ ქვეყნაში და წინა პერიოდში წარგზავნილ 70 სამხედრო მოშვასურეს ჩანაცვლებდნენ. თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ 7 სექტემბერს ერაყიდან დაბრუნების შემდეგ უურნალისტებს განუცხადა, რომ საქართველო ერაყში თავის სამხედრო კონტინგენტს 159 კაციდან 300-მდე გაზრდის.⁵² ამ პერიოდში სერიოზული დაპირისირება და ბრძოლა მიმდინარეობს კოალიციურ ჯარებსა და ერაყში ამბოხებულებს შორის. თუმცა ეს ვერ გახდა დაბრკოლება კაგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ქართველი სამხედროებისათვის.

თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლმა ირაკლი ჩიქოვანმა 10 აპრილს უურნალისტებთან საუბრისას განაცხადა რომ: „ისინი [სამხედროები - შ.კ.] უკვე ჩავიდნენ ბალდადში, ხოლო შემდეგ ერაყის ორ ქალაქში – ტიკრიტსა და ბაიჯიში განლაგდებიან.“⁵³ ხელისუფლების წარმომადგნელები დადებითად აფასებენ მიმდინარე პროცესებს და აცხადებენ, რომ საქართველო შეასრულებს ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას და საკუთარ წვლილს შეიტანს ერაყში წარმოებულ კამპანიაში. ვანო მერაბიშვილმა, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა, ქართველი სამხედროების გაცილების ცერემონიალზე განაცხა-

⁵¹ Civil.ge. თვითმფრინავს, რომელშიც თავდაცვის მინისტრი იჯდა, ერაყში ცეცხლი გაუცხსნეს. 16 იანვარი, 2004. <https://civil.ge/ka/archives/131390>

⁵² Civil.ge. საქართველო ერაყში სამხედრო კონტინგენტს აორმაგებს. 8 სექტემბერი, 2004. <https://civil.ge/ka/archives/133066>

⁵³ Civil.ge. საქართველო ერაყში ორჯერ მეტ ჯარისკაცს აგზავნის. 12 აპრილი, 2004. <https://civil.ge/ka/archives/132007>

და, რომ „ჩვენ უნდა ვიამაყოთ. ქართველი ჯარისკაცები მაშინ მიემგზავრები-ან ერაყში, როცა იქ სიტუაცია საკმაოდ გამწვავდა. მაგრამ, ვიკისრეო ვალ-დებულება და ეს გალდებულება უნდა შევასრულოთ“: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა 9 აპრილს რუსულ გაზეთ „ვრე-მია ნოვოსტეი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ჯარების გაგ-ზავნა აშშ-ის მიმართ სოლიდარობის ნიშნად ხდება. ეს ქვაყანა ჩვენ მაშინ დაგვეხმარა, როცა ძალიან გვიჭირდა. ეს არის, თუ გრძებავთ, ქართული ხასი-ათის გამოხატულება: ამერიკელებს ძალიან უჭირო ამჟამად ერაყში და ჩვენ მათ გვერდით უნდა ვიყოთ.“ მან ასევე დასძინა, რომ „საქართველოს სჭირდება არმია, რომელიც მხოლოდ აღლუმებისთვის არ იქნება კარგად მომზადებული. არმიამ გამოცდილება როგორ სიტუაციებში უნდა მიიღოს.“⁵⁴ „მისა, რომელიც თქვენ დღეს გაეცირიათ, ადვილი არ არის, მაგრამ თქვენ კარგად ხართ მომ-ზადებული, რათა გაუმკლავდეთ ყველა იმ სირთულეს რაც წინ გელით. თქვენ საუკეთესოდ მომზადებული და აღჭურვილი სამხედროები ხართ, რომელიც საქართველოს ყოლია დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან,“ – განაცხადა აშშ-ის ელჩმა რიჩარდ მაილსმა აღექსევეკის სამხედრო საპარო ბაზაზე.⁵⁵

2004 წლის 26 მაისს პრეზიდენტი სააკაშვილი აკეთებს განაცხადე-ბას, რომ ერაყში სამხედროთა რაოდენობა გასამმაგდებოდა. ეს კი გაამყარებ-და ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობას.⁵⁶ წემოთქმულს დადე-ბითად გამოეხმაურა აშშ. ახალი გეგმის მიხედვით ქართველ სამხედროთა რა-ოდენობა 159-დან 850-მდე გაიზრდებოდა. ქართული შენაერთები უზრუნველ-ყოფდნენ გაერთიანებული ერების უსაფრთხოებას ერაყში.

თავისმხრივ, თეორი სახლი ამავე პერიოდში დამატებით პროგრამას წამოიწყებს რათა ხელი შეუწყოს ქართული სამხედრო ძალების მდგრად გან-ვითარებასა და უწყვეტ დისლოცირებას.⁵⁷ იგივე დაადასტურა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ნატოს გენერალურ მდივანთან, იაპ დე პოოპ სხეფერთან ვიზი-ტის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე. „ჩვენი აქტიური ჩართვის გა-მო ერაყის, ავდანეთისა და კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციებში, აშშ-მა გა-ნაცხადა, რომ დაიწყებს ახალ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც მოხდება

⁵⁴ Civil.ge. Georgia Sends More Troops to Iraq. April 10, 2004. <https://civil.ge/archives/105666>

⁵⁵ Civil.ge. Georgia Deploys More Troops to Iraq. April 7, 2004. <https://civil.ge/archives/105646>

⁵⁶ Civil.ge. Three Georgian Soldiers “Lightly” Injured in Iraq. June 3, 2004. <https://old.civil.ge/eng/article.php?id=7059>

⁵⁷ R. Boucher. Georgian Troop Deployment to Iraq. U.S. Department of State Archive. November 4, 2004. <https://2001-2009.state.gov/r/pa/prs/ps/2004/37811.htm>

ქართული ჯარების მომზადება სამშვიდობო ოპერაციებში მანაწილეობისთვის. ახალი პროგრამის ფარგლებში, ორჯერ მეტი სამხედრო პირი გაივლის მომზადებას წინა პროგრამასთან შედარებით.⁵⁸

2004 წლის 9 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა თანხმობა განაცხადა ქართველი სამხედროების დამატებით დისლოცირებაზე 148 წმით 1-ის წინააღმდეგ. 300 ქართველი სამხედრო ჩაანაცვლებს წინა დისლოცირებისას წარგზავნილ 159 მებრძოლს.⁵⁹

საქართველო ზედმიწვნით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას რათა დაიცას გაეროს წარმომადგენლობა ერაყში. წარმატებით განხორციელებული მისიების შესაბამისად სამხედროთა რაოდენობა ახლო მომავლში კვლავ გაიზარდა. 2005 წლის 1 მარტს კოალიციის ძალების ფარგლებში 573 ქართველი სამხედრო გაემგზავრა. შედეგად, ქართველთა რაოდენობა ერაყში 900-მდე გაიზარდა; საქართველო გახდა ქვეყნა, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობასთან ერაყში გაგზავნილი კონტიგენტის შეფარდების ოვალსაზრისით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კოალიციის ძალებში.⁶⁰

2005 წელს, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (Georgia Train and Equip Program) გარდაიქმნა სტაბილურობისა და შენარჩუნების ოპერატიულ პროგრამად (Georgia Sustainment and Stability Operations Program – GSSOP I და GSSOP II), რომელიც ერაყის მშვიდობის მხარდაჭერი ოპერაციებისთვის წვრთნიდა და ამზადებდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და სამეთაურო შტაბს.⁶¹ პროგრამის ინიცირების ცერემონიალზე, კრწანისში მაირომა მელვინ ჩატმენმა განაცხადა: „დიდებული ქვეყნა საქართველო მხარში უდგას აშშ-ს ტერორიზმთან გბლობალურ ომში და GSSOP-ის ქმისად არის ჩვენი თანამშრომლობის გაგრძელა ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად.“⁶²

⁵⁸ Civil.ge. სააგაშვილი: აშშ სამხედრო დახმარების ახალ პროგრამას იწყებს. 5 ნოემბერი, 2004. <https://civil.ge/ka/archives/133540>

⁵⁹ Civil.ge. MPs Endorse Georgian Troop Deployment in Iraq. September 11, 2009. <https://civil.ge/archives/106541>

⁶⁰ Civil.ge. ქრონოლოგია - 2005. 9 იანვარი, 2006. <https://civil.ge/ka/archives/136836>

⁶¹ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. თანამშრომლობა აშშ-სთან. <https://mod.gov.ge/ge-page/119/tanamshromloba-ashsh-stan>

R. Zabakhidze, Georgian Defense Forces: The role of military partnerships. Middle East Institute. August 26, 2020. <https://www.mei.edu/publications/georgian-defense-forces-role-military-partnerships>

⁶² J. Moore. Republic of Georgia puts her best into Iraq fight. United States European Command. September 01. 2005. <https://web.archive.org/web/20110927125052/http://www.eucom.mil/english/FullStory.asp?article=Republic-Georgia-puts-best-Iraq-fight>

2007 წლის 23 მარტს ერაყში თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის 550 სამხედრო გაემგზავრა. ისინი ბალდადში 7 თვის მანძილზე მყოფ პირველ მსუბუქ ბატალიონს ჩაანაცვლებენ. ქართველი სამშვიდობოების ამოცანაა, ბალდადში ქვეითთა პატრულირება, გზების უსაფრთხოების დაცვა და კონტრაქტორთა ესკორტირება. 9 მარტს პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო ერაყში თავისი სამხედროების ამჟამინდელი რაოდენობის 850 ჯარისკაცის 2000-მდე გაზრდას აპირებს.⁶³ ივნისში ახალი კონტინგენტი გაემგზავრება ერაყში და ვასიონის პროვინციაში განლაგდება, სადაც ქალაქ ალ-კუტის და ორანთან არსებული საზღვრის პატრულირებას განახორციელებს. „უნდა ავღნიშნო, რომ არსებობს ინფორმაცია, რომ გარკვეული შეიარაღება გადმოდის ირანის ტერიტორიდან ერაყში, რაზეც დღეს-დღეობით რეაგირება ვერ ხდება და გადმოდის სწორედ ამ პროვინციის გავლით, რაზეც ქართველ ჯარისკაცებს მოუწევთ რეაგირება, რაც გულისხმობს, რომ გარკვეულ წილად დამატულობა იქ გაჩნდება,“ – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა დავით კეჩერაშვილმა.⁶⁴

სამხედროთა რაოდენობის ზრდას თავად დავით კეჩერაშვილი შედეგი მიზეზით ხსნის: „ოუ ჩვენ სერიოზულად გვინდა გავხდეთ ამ აღიანსის წევრები, ბუნებრივია, ჩვენ, გარკვეულწილად, უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა და ვიმუშაოთ ისე, როგორც მუშაობენ აღიანსის წევრი ქვეწები.“⁶⁵

პარლამენტმა 2007 წლის 8 ივნისს 145 ხმით 2-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა ინიციატივას ერაყში საქართველოს სამშვიდოო კონტინგენტის 850-დან 2000 სამხე-დორმდე გაზრდის თაობაზე. შედეგად, საქართველომ ერთ სულ მოსახლეზე გათვლებით ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კოალიციურ ძალებში. „რაოდენობის შეცვლის გარდა, ასევე იცვლება ოპერაციის ფორმა და ხარისხი,“ – განაცხადა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა დიმიტრი ქიტიშვილმა. მისი თქმით, საქართველოს სარდლობა მონაწილეობას მიიღებს „ადგილზე ოპერაციების განხორციელების თაობაზე გა-

⁶³ Civil.ge. ერაყში მორიგი ქართული კონტიგენტი გაემგზავრა. 24 მარტი, 2007. <https://civil.ge/ka/archives/140392>

⁶⁴ Civil.ge. კეჩერაშვილი ერაყში ქართული კონტინგენტის განთავსების დეტალებზე საუბრობს. 30 მაისი, 2007. <https://civil.ge/ka/archives/140756>

⁶⁵ ქ. ლიკლიკაძე. ორჯერ გაზრდილი ქართული სამშვიდოო ბატალიონის „ომი და მშვიდობა“ ერაყში. დადით თავისუფლება. 9 სექტემბერი, 2007. <https://www.radiotavisupleba.ge/a/15542-93.html>

დაწყვეტილების მიღების პროცესში ... ჩვენი ბრიგადის ზომის შენაერთი ირანთან საზღვარზე განლაგდება და მისი მთავარი ამოცანა იქნება პატრულირება და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა.“⁶⁶

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციონერი დეპუტატების უმეტესობაში მხარდაჭერა გამოხატა ამ გადაწყვეტილების მიმართ, ამავე დროს სიფრთხილით მოეკიდა მას. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერები საკითხთან დაკავშირებით აკეთებენ განცხადებებს. რესპუბლიკური პარტიის დეპუტატმა ივლიანე ხაინდრავამ საპარლამენტო მოსმენის დროს განაცხადა, რომ „გადაწყვეტილება უზარმაზარ პასუხისმგებლობას აკისრებს“ პარლამენტის თოთოვეულ წევრს. „რადგანაც ეს გადაწყვეტილება პირდაპირ უკავშირდება ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლეს,“ მან ასევე დასძინა, რომ ჯარისკაცები წებაყოფლობით მიღიან ერაყში სამხედრო სამსახურში. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ის დაუჭერს მხარს ამ ინიციატივას, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში არის ის, თუ რატომ აკეთებს ამას საქართველო ერაყში აშშ-ს ოპერაციის მიმართ მხარდი საერთაშორისო კრიტიკის ფონზე. „მოდით წარმოვიდგინოთ საუბრის ვარიანტი, რომელიც შეიძლება მიმდინარეობდეს ნატოს შტაბბინაში ბრიუსელში: ამერიკელები ამბობენ, რომ დროა საქართველოს გავუხსნათ გზა შემდგომი ნაბიჯისთვის ნატოს მიმართულებით თუმცა, ამის საპასუხოდ, რომელიმე ჰოლანდიული, ესპანელი ან იტალიული პოლიტიკოსი იტყვის: ჩვენ ვერ გავუხსნით ნატოს კარებს ქვეყანას, სადაც კანონის უზენაესობაზე და ადამიანის უფლებებზე ლაპარაკიც ზედმეტია, სადაც სისტემატურად ირლვევა საკუთრების უფლება. ამერიკელები კი უპასუხებენ: მაშინ როცა თქვენ გამოგყავთ თქვენი ჯარები ერაყიდან, ქართველებს შეყავთ იქ თავიანთი სამხედროები. ამას არ გავუწიოთ ანგარიში? მართლაც როულია ამაზე პასუხის გაცემა,“ – განაცხადა ხაინდრავამ. „ამრიგად, დასკვნა ასეთია, რომ კომპენსაცია პრობლემებისა დემოკრატიის სფეროში, კანონის უზენაესობის სფეროში, არჩევნების, საკუთრებისა და ადამიანის უფლებების სფეროში ხდება საქართველოს მიერ სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდით ერაყში. ეს მდგომარეობა სამწუხაროა, იმიტომ რომ ყველაფერი მოწესრიგებული რომ გვქონდა სხვა სფეროებში, შეიძლება ასეთი როული არჩევანის წინაშე ჩვენ არ დავმდგარიყვათ,“ – აღნიშნა მან.⁶⁷

⁶⁶ Civil.ge. პარლამენტი ერაყში ქართული კონტინგენტის გაზრდას უჭერს მხარს. 8 ივნისი, 2007. <https://civil.ge/ka/archives/140812>

⁶⁷ Civil.ge. პარლამენტი ერაყში ქართული კონტინგენტის გაზრდას უჭერს მხარს. 8 ივნისი,

რადიკალურად საპირისპირო დამოკიდებულება დააფიქსირა დეპუტატ-მა გოჩა ჯოვანიშვილმა. „რეალურად მე გეუბნებით იმას, რაც ჩანს. და, ალბათ, ადენტებთ თვალს, როდესაც თურქეთისა და ორანის დამოკიდებულება არ არის ცალსახა, ჩვენ ამ დროს დემონსტრაციულად შევდივართ და ვერთვებით ამ კონფლიქტში. შეიძლება ეს გაკეთდეს, მაგრამ კოდევ ერთელ ვიძახი - რის ფისად?“⁶⁸

არაერთი განცხადება გაკეთდა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ქართველი სამხედროებისათვის წარმომატებით გაეგრძელებინათ ნაკისრი ვალდებულება და თავისი უმნიშვნელოვანესი სიტყვა ეთქვათ საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წყაროზე დაყრდნობით საერთო ჯამში, ერაყში განხორციელებულ საერთაშორისო მისიაში, სხვადასხვა დონეზე ზე ჩატარებული 17 როტაციის ფარგლებში, 8.495 ქართველმა სამხედრო მოსამსახურებმ მიიღო მონაწილეობა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ქართული ქვედანაყოფები სამშობლოში დაბრუნდნენ, რუსული საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამით საქართველოს შეიარაღებული ძალების მისია ერაყში დასრულდა.⁶⁹

წლების მანძილზე წარგზავილი სამხედროების რაოდენობით საქართველო გახდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი წვლილის შემტანი აშშ-ს მიერ წარმოებულ „თავისუფლება ერაყს“ კამპანიაში. ქართული სამხედრო კონტინგენტის ერაყში განთავსება იყო ამერიკის შეერთებულ შტატებთან ქვეყნის დახლოებისა და რეგიონში რუსული ინტერესის შემცირების გამოძახილი.⁷⁰ სენატორმა ტედ უორემ განაცხადა 2018 წლის 26 ივნისი: „ორ ქვეყანას შორის მეგობრობა სისხლში არის გამობრძმედილი. ქართველი სამხედროები იბრძვიან და იღუპებიან ამერიკელი სამხედროების გვერდით ერაყსა და ავღანეთში.“⁷¹

2007. <https://civil.ge/ka/archives/140812>

⁶⁸ ქ. ლიკლიგაძე. საქართველოს სამხედრო კონტინგენტის გაგზავნა ერაყში ერთი თვის შემდეგ გადაწყდა. რადიო თავისუფლება. 8 ივნისი, 2007. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1552913.html>

⁶⁹ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საერთაშორისო მისიები, მისია ერაყში. <https://mod.gov.ge/ge/mission/55/misia-erayshi>

⁷⁰ S. C Tucker, P. Marry Roberts, P. G Pierpaoli, Jr, Colonel J. D Morelock, Major General D. Zabecki, Sh. Zuhur. Georgia, Role in Iraq War. The United States in Persian Gulf, Afghanistan, and Iraq Conflicts. The Encyclopedia of Middle East Wars. გვ. 481

⁷¹ E. Kogan. NATO and Georgian-American Military Relations. European Security and Defence. 18 June, 2019. <https://euro-sd.com/2019/06/articles/13627/nato-and-georgian-american-military-relations/>

2016 წლის 6 ივლისს აშშ-სა და საქართველოს მორის გაფორმდა „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების“ შესახებ მემორანდუმი. დოკუმენტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადაყავს. მემორანდუმი მოიცავს ყველა შესაძლო ძალისმევის მობილიზებას რათა გაუმჯობესებინათ სამხედროთა საბრძოლო მზადეოფნა.⁷² მემორანდუმზე დაყრდნობით ხელი მოეწერა დეტალურ ხელშეკრულებას რომელიც 2019 წლის 21 დეკემბერს განახლდა.⁷³

უაღრესად მნიშვნელოვანია სამშივოდო მისიების წარმოება ქვეყნისათვის. მით უფრო, რომ მსგავსი სახის ოპერაციების სტრატეგიული დანიშნულება გლობალურ ჭრილში განისაზღვრება. გარდა უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფისა სამშვიდობო მისიები უზრუნველყოფებ ადამიანის უფლებებისა და მოსახლეობის სიცოცხლის დაცვას. ქმნიან გარემოს სადაც შესაძლებელი არსებული კონფლიქტის პოლიტიკური განხილვის გზით გადაჭრა. აქდან გამომდინარე ახალი ქართული პოლიტიკური რეალობისათვის უაღრესად დიდი წინ გადაგმული ნაბიჯი იყო ერაყში სამხედრო მომსახურეთა წარგზავნა. საქართველომ სასიცოცხლო სიგნალი გაუგზავნა მსოფლიოს, რომ თავდაჯერებულად აქვს გადაწყვეტილი საერთაშორისო ასპარეზზე დაიმკვიდროს სრულფასოვანი სახელმწიფოს სახელი, რომელსაც აღელვებს მსოფლიოში მიმდინარე გეო-პოლიტიკური პროცესები. აქვე დავძნოთ, რომ უდავოდ ხელისშემწყობი ფაქტორი იყო სამშივოდო მისიაში თანამონაწილეობა საქართველოს სამხედრო პრესტიჟის ასამაღლებლად. პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველომ გაამყარა მეცნობობა და პარტნიორობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რაც უმნიშვნელოვანებია ქართვული ინტერესების დაცვისთვის.

ვერასგზით ვერ აცუცლოთ გვერდს ამ მისიაში დაღუპული ქართველი სამხედროების ხსოვნას. ერაყში მისიას შესრულებისას, 3 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა საბრძოლო მოქმედებებისას და 2 არასაბრძოლო ვითარებაში,⁷⁴ ხოლო 19 დაიჭრა.⁷⁵ ფასდაუდებელია მათი მსხვერპლი ქართული სახელმწიო-ფონებრიობის მშენებლობის პროცესში.

⁷² Defence and Security Cooperation. The Embassy of Georgia to the United States of America. <https://georgiaembassyusa.org/military-cooperation/>

⁷³ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. თანამშრომლობა აშშ-სთან. <https://mod.gov.ge/ge-page/119/tanamshromloba-ashsh-stan>

⁷⁴ ნაცობი ჯარისკაცი. <https://jsvisuals.forset.ge/jariskatsi/ka/>

⁷⁵ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საერთაშორისო მისიები. მისია ერაყში. <https://mod.gov.ge/ge/mission>

Shalva Kikalishvili
Assistant Professor,
American University of the Middle East, Kuwait

PARTICIPATION OF GEORGIAN MILITARY FORCES IN INTERNATIONAL IRAQ PEACE BUILDING OPERATION (2003-2008)

Summary

From the moment when Georgia declared independence, clear and straightforward political course has been drawn to connect the country to western reality. In 1992 Georgia joined North Atlantic Cooperation Council. Within 5 years, in 1997, NACC was transformed into the Euro-Atlantic Partnership Council. From the very same moment, the relationship with one of the most important and vital partners, United States of America, unfolded successfully. Further, in 2001, this relationship adopted to a new reality, and the cooperation in defense and security fields deepened between two countries. This is the year when Georgia joined a global war on terror after the horrific terrorist attack on American nation on the 11th of September. Following the mutual agreement, Georgian military forces entered peacekeeping missions and were stationed in different hot spots worldwide.

The purpose of the paper, on the one hand, is to describe a significant role of Georgian military forces in peace building after 2003 Iraq war, between years 2003-2008. On the other hand, our aim is to depict rather difficult and safety endangering post war situation in Iraq, when Georgian Forces were sent as valuable members of “Multi-national forces – Iraq.”

On March 19, 2003, American military forces successfully continued the operation “Iraqi Freedom” and entered Iraq. Within 21 days, almost the whole country was under control of the USA. Despite military strategic or tactical success, it appeared to be a classical example of “how you can win the war but lose the peace”, as Paddy Ashdown of Telegraph mentioned. US Military Central Command and White House found themselves dealing with dozens of problems, which required vast amount of resources and time to be solved. Therefore, our paper outlines major problematic areas in Iraq – marauders,

uprisings, terrorist attacks both on United Nations representatives and military personnel, involvement of Iran in internal Iraqi politics and disrupting peacebuilding operations of international forces. In addition, we will discuss the contribution of several influential military-political leaders to the ongoing processes.

Furthermore, contribution of the United States to the development of the Georgian Military Forces will be also shown in this paper. Following 11/09/2001 al-Qaeda terrorist attacks, Georgia decided to join a Global War on Terror in 2002. The United States initiated the “Georgian Train and Equip Program,” which later became a basement for the “Georgian Sustainment and Stability Operations Program.” Both initiatives trained Georgian Forces to deal with internal and international threats. Based on the Ministry of Defense of Georgia, 17 deployments of various nature were sent to Iraq totaling 8 495 proud servicemen participating in peacekeeping operations. Thus, Georgia became one of the important non-NATO contributors to the “Operation Iraqi Freedom.” At that time, the ongoing operation was disrupted by August 2008 Russian military occupation of Georgia as remaining forces were immediately sent back to defend the country.